

კარლო გოგოძე

ცნობილი ქართველი კინოდრამატურგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კარლო გოგოძე დაიბადა 1909 წლის 25 აპრილს სამტრედიაში. წერა-კითხვა დედამ ნატალია პაპავამ, საკმაოდ განათლებულმა ქალბატონმა შეასწავლა. მამა იოსებ გოგოძე, წიგნის მოყვარული და ქართული ლიტერატურის უბადლო მცოდნე გახლდათ. კარლო გოგოძემ შექმნა ოჯახი და შეეძინა ერთი ვაჟიშვილი.

საშუალო განათლება სამტრედიაში მიიღო. სკოლა 1925 წელს დაამთავრა. აქვე ეზიარა სცენის სიყვარულს. იგი თეატრალურ დასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ქალაქის რკინიგზის კლუბში გამართულ სპექტაკლებში, რომელთაც იოსებ თარაშვილი ხელმძღვანელობდა.

1927 წელს თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მან საბურთალოს მუშათა კლუბში დააარსა „საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოება“ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შრომის ცენტრალურ ინსტიტუტთან არსებულ საკალატოზე კურსებზე სწავლობდა.

1928 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი პირველი კინორეცენზია დევიდ გრიფიტის ფილმზე „გადატეხილი ზამბახი“.

1929 წელს შევიდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა სახელმწიფო კინომრეწველობასთან არსებულ კინომსახიობთა სკოლაში. აქ მისი პედაგოგი იყო მისიელ ჭიაურელი. ინსტიტუტი 1931 წელს დაამთავრა და ამ დროისთვის გააგზავნეს სახელმწიფო კინომრეწველობაში რეჟისორის თანაშემწედ. სახელმწიფო კინომრეწველობის კადრების განყოფილებიდან გაგზავნეს მოსკოვში, კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში კინოდრამატურგიის ფაკულტეტზე სასწავლებლად. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ და თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ საბჭოთა კინოს ცნობილი ოსტატები და თეორეტიკოსები. აქვე დაეუფლა კინოხელოვნების ისტორიის საფუძვლებსაც. ეს უნივერსიტეტი დაამთავრა 1936 წელს.

1938 წელს თბილისის კინოსტუდიასთან გაიხსნა კინომსახიობთა სკოლა, სადაც გოგოძე კითხულობდა კინემატოგრაფიის ისტორიას და საერთოდ კინოხელოვნების კურსს. შემდეგ ეს სკოლა შეუერთდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს და გოგოძე აქაც განაგრძობდა ლექციების კითხვას კინო-ხელოვნების საკითხებზე. ამ საქმეში იგი წამომწეები გახლდათ საქართველოში. პარალელურად მუშაობდა კინომრეწველობის ხაზით სასცენო განყოფილების უფროსად და ამავე განყოფილების რედაქტორად. მისი რეცენზიები იბეჭდებოდა გაზეთებში: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, „ლენინის დროშა“ და სხვა. 1938 წელს კინოდრამატურგ გ. კარსანიძესთან ერთად დაწერა კინოსცენარი „დაგვიანებული სასიძო“, რომელიც დადგა კინორეჟისორმა კ. მიქაბერიძემ. 1940 წელს კ. გოგოძის სცენარის მიხედვით (ე. ინანიშვილის მოთხრობაზე) კ. პიპინაშვილმა გადაიღო კინოფილმი „ქაჯანა“.

1942 წელს სამამულო ომის დროს გაწვეული იყო ჯარში ჯერ კამანდირად, შემდეგ ლიტერატურულ მუშაკად დივიზიის გაზეთში „წინ გამარჯვებისაკენ“. მიღებული აქვს ჯილდოები „კავკასიის დაცვისთვის“, „მამაცური შრომისათვის“ და „სამამულო ომში ფაშიზმზე გაამრჯვებისთვის 1941-45 წლებში“.

მრავალფეროვანია მისი მოღვაწეობა, როგორც კინომცოდნისა. იგი ავტორია ვრცელი მონოგრაფიების ქართული კინოხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებზე: ნატო ვანნაძე- (1949წ) ნატოს იუბილესთან დაკავშირებით მან შექმნა კინოსურათი „ნატო ვანნაძის მონოგრაფია“; ვასილ ამაშუკელი (1954წ)- მის მიერ შექმნილ დოკუმენტურ ფილმზე „აკაკის მოგზაურობა“. ამ ფილმის მხოლოდ ნაწყვეტი იყო ცნობილი და საერთოადაც დაკარგულად ითვლებოდა, რომ არა გოგოძის თავდადებული შრომა. მან მიაგნო ფილმის სრულ ვარიანტს და შთამომავლობას დაუტოვა დიდი განძი. ცნობილი კინოკრიტიკოსი ო. სეფიაშვილი წერდა: „კარლო ამ ფილმს, როგორც ნამდვილი ჭირისუფალი, ნამდვილი მემკვიდრე ისე ეძებდა“. არანაკლებ მნიშვნელოვანია

მონოგრაფია „კ. მარჯანიშვილი“ (1953წ). ყველასათვის ცნობილი იყო, რომ კ. მარჯანიშვილმა ქართული ფილმით დაიწყო კინომოდერნიზაცია, ხოლო გოგოძემ გამოიკვლია, რომ მას ჯერ კიდევ პეტერბურგში გადაუღია ფილმი „ყოვლისშემძლე სიყვარული“. ამ ნაშრომით მან გამოასწორა ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა კ. მარჯანიშვილის შემოქმედების კვლევაში. ასევე საინტერესოა „ი. პერესტიანის“ მონოგრაფია.

მისი სცენარების მიხედვით შექმნილია ფილმები: „მაგდანას ღურჯა“-ეს იყო პირველი მხატვრული ფილმი ახალგაზრდა რეჟისორების თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის. „ქაჯანა“- პირველი ფილმი პიპინაშვილისა; „დაგვიანებული სასიძო“-ოპერატორ ვისოცკის პირველი დამოუკიდებელი ნაშრომია.

ასევე ნაყოფიერად იმუშავა პიპინაშვილმა გოგოძის სცენარზე „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...“ პირველი მხატვრული ფილმი შექმნილი ჩვენი ეპოქის უნიჭიერეს პოეტზე. მისივე სცენარებით შექმნილი მრავალი კინონარკვევები და მულტფილმი. საუკეთესო კინოდრამატურგია საფუძველია კარგი ფილმისა, სწორედ ამიტომ ირჩევდნენ ახალგაზრდა რეჟისორები გოგოძის სცენარებს.

გოგოძის პიესები: „მთის ბიჭები“, „ქაჯანა“, „ნანული“, „ლომგულები“, „ერთხელ დამით“ წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ენთუზიაზმით შექმნა დოკუმენტური ფილმები: „გენერალი ლესელიძე;“ (1944წ), „მზიურ სანაპიროებზე“; ჩვენი სოფლის ვარსკვლავი“; „ალაზნის ველი“და სხვა. მისი ნაშრომებია : „საბჭოთა ქართული კინემატოგრაფიის 40 წელი “ (1961წ). „ქართული ფილმები მსოფლიო ეკრანებზე “ (1975წ).

კარლო გოგოძემ მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა ქართული კინოხელოვნება და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა უცხოელ კინოხელოვანებთან: ჟორჟ სადული (ფრანგი კინოკრიტიკოსი), ედიტ ვეშერი (გერმანიის კინომუზეუმის ხელმძღვანელი), აბელ პიტერი (უნგრეთის კინოენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი), პიტერ სადეცკი - ჩეხი კინომცოდნე.

კარლო გოგოძეს თავისი პროფესიონალიზმისთვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. იგი ასევე წერდა ლექსებს. ერთ-ერთ დღიურში წერს: „ვიგრძენი, რომ ის აღარ ვარ რაც ვიყავი. ვიგრძენი, რომ მართლა ასაკში შევსულვარ, გული დამწყდა, ბევრი რამ განუხორციელებელი რჩება, ძალიანბევრი; გული კი არ იშლის, არ სურს ქედი მოიყაროს სიბერის წინაშე, მაგრამ როდემდის?!” სწორედ ამ განწყობას მიუძღვნა ლექსი „ამაო ძახილი“. იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ქართულ ხელოვნებას და შექმნა 500 - ზე მეტი რეცენზია, წერილი და გამოკვლევა, რომელიც ქვეყნდებოდა საბჭოთა და უცხოურ პრესაში.

გარდაიცვალა 1977 წლის 3 იანვარს.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. კალისტრატე (კარლო) გოგოძის დაბადების მოწმობა.

1972 წ. 5 სექტემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. სამტრედიის ვაჟთა 2 კლასის სასწავლებლის მიერ გაცემული კალისტრატე (კარლო) გოგოძის ნიშნების ფურცელი.

1914 - 15 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. კლასის მასწავლებლის ნ. ლეჟავას ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

3. სამტრედიის ვაჟთა 2 კლასის სასწავლებლის მიერ გაცემული კ. გოგოძის ნიშნების ფურცელი.

1915 - 16 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. კლასის მასწავლებლის ნ. ლეჟავას ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. მეღანი. 1 გვ.

4. სამტრედიის ვაჟთა 2 კლასის სასწავლებლის მიერ გაცემული კალისტრატე (კარლო) გოგოძის ნიშნების ფურცელი.
1916 – 17 წწ. ბლანკი. ხელით შევსებული. კლასის მასწავლებლის ნ. ლეჟავას ხელმოწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 1 გვ.
5. სამტრედიის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობა კ. გოგოძისადმი, მისი ნივთიერ - ოჯახური მდგომარეობის შესახებ .
1927 წ. 8 აგვისტო. ბლანკი. ხელით შევსებული. ბეჭედდასმული. ხელმოწერა არ იკითხება. მელანი. 1 ც.
6. კ. გოგოძის პირადი ფურცელი (ანკეტა).
1927 წ. 13 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელს აწერენ: ს. რურუა; ვ. ზამთარაძე; ლ. კვანტალიანი. 2 გვ.
7. კ. გოგოძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი.
1929 წ. ხელით შევსებული. 1 ც.
8. კ. გოგოძის სახკინმრეწვის პირადობის მოწმობა.
1932 წ. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 1 ც.
9. კ. გოგოძის მიერ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალი.
1932 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
10. გაზეთ „Кино“-ს რედაქციის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ცნობა კ. გოგოძისადმი, კორესპონდენტად მუშაობასთან დაკავშირებით.
1934 წ. 5 იანვარი. ლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. საბჭოთა მწერალთა კავშირის, დრამატურგიის ავტონომიური სექციის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, სასწავლო -სასცენარო ნაშრომისთვის „До зари“ პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.
1934 წ. 23 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
12. მოსკოვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა კ. გოგოძისადმი, სასცენარო ფაქულტეტის 2 კურსზე სწავლასთან დაკავშირებით.
1934 წ. 21 ივნისი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელმოწერა არ იკითხება. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
13. კ. გოგოძის განცხადება კინემატოგრაფიის ინსტიტუტის კადრების ხელმძღვანელობისადმი, სადიპლომო ნაშრომის მასალების გასაცნობად თანხის გამოყოფის შესახებ.
1935 წ. 19 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
14. მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის პროფკავშირების ხელმძღვანელობის მოთხოვნა ამიერკავკასიის კადრების ხელმძღვანელობისადმი, კ. გოგოძის სადიპლომო ნაშრომის შესრულებისათვის მატერიალურ დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.
1935 წ. 19 იანვარი. ხელმოწერა არ იკითხება. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
15. მოსკოვის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა კ. გოგოძისადმი, სასცენარო ფაქულტეტის, მეორე კურსზე სწავლასთან დაკავშირებით.
1935 წ. 19 იანვარი. ბლანკი. ხელმოწერა არ იკითხება. ბეჭედდასმული. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 1 ც.

16. მოსკოვის, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის, დეკანატი მთხოვნა ამიერკავკასიის კადრების ხელმძღვანელობისადმი, კ. გოგოძის სადიპლომო ნაშრომის შესრულებისათვის მატერიალურ დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

1935 წ. 20 იანვარი. ნაბეჭდი. ფაკულტეტის დეკანის ვ. ტურკინის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. თბილისის კინო - ფაბრიკის „სახკინმრეწვი“ მიერ გაცემული ცნობა კ. გოგოძისადმი, მოსკოვში, კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში სადიპლომო ნაშრომის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქმეთა მართველი - მიხეილიძე; სასცენარო განყოფილების მოადგილე - პოპოვი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

18. კ. გოგოძის განცხადება საწარმოს პრაქტიკის ხელმძღვანელისადმი, სადიპლომო ნაშრომის მასალისათვის, ქართულენოვანი წიგნების შესაძენად კუთვნილი თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

1935 წ. 23 ივნისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

19. კინო - ფაბრიკის „სახკინმრეწვი“ მიერ გაცემული ცნობა კ. გოგოძისადმი. მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტად თბილისში სადიპლომო ნაშრომის დამუშავებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 7 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ფაბრიკის დირექტორი - კალატოზიშვილი; საქმეთა მმართველი - თვალთვაძე. ნაბეჭდი. ბეჭდით. 1 გვ.

20. საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის კადრების განყოფილების შეტყობინება ქ. სამტრედიის მუშათა თეატრის გამგეობისადმი, მოსკოვის სახელმწიფო კინოინსტიტუტის სასცენარო, სალიტერატურო ფაკულტეტის სტუდენტის კ. გოგოძის კინემატოგრაფიულ საკითხებში დახმარებასთან დაკავშირებით.

1932 წ. 3. სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. კადრების განყოფილების გამგის არზუმანოვის ხელმოწერით. 1 ც.

21. კინო - ფოტო მრეწველობის „სახკინმრეწვი“ სამმართველოს მიერ გაცემული დახასიათება კ. გოგოძისადმი.

1934 წ. 1 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქმეთა მართველი - თითბერიძე; სასცენარო განყოფილების უფროსი - მდივანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. ნ. ლებედევის მიმართვა ი. ორბელიანისადმი, სტუდენტ კ. გოგოძისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. სადიპლომო სცენარზე „ვეფხისტყაოსანი“ მუშაობის პროცესში ირანის ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოფენისა და კონგრესზე გამოსულ მეცნიერთა მოხსენებების გაცნობასთან დაკავშირებით.

1935 წ. 13 სექტემბერი. ნაბეჭდი. ნ. ლებედევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

23. სახელმწიფო საკვალთმწიფო კომისიის სხდომის დადგენილება კ. გოგოძის სცენარის „ვეფხისტყაოსანი“ შესახებ.

1935 წ. 14 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

24. სარეჟისორო დეკანატის ხელმძღვანელის შეტყობინება კ. გოგოძისადმი, კონსულტაციის სხდომაზე სცენარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 4 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.

25. ცნობა - კ. გოგოძის ქ. მოსკოვში მივლინების შესახებ. სახელმწიფო კინოსტუდიაში სადიპლომო სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 31 დეკემბერი. ბლანკი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

26. კ. გოგოძის სახკინმრეწვის პირადობის მოწმობა.

1935 წ. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

27. თბილისის კინო - ფაბრიკის სამმართველოს სასცენარო განყოფილების უფროსის ა. მამულაშვილის; კ. გოგოძისა და ვ. კარსანიძის ხელშეკრულება. სრულმეტრაჟიანი სცენარისათვის „Свадьба“ სიუჟეტის დამუშავებასთან დაკავშირებით.

1936 წ. 9 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ვ. კარსანიძე; ა. მამულაშვილი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

28. სცენარისტების კ. გოგოძის, ვ. კარსანიძის, რეჟისორის კ. პიპინაშვილისა და ოპერატორ ვისოცკის შემოქმედებითი განაცხადი, ი. ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით, ერთ ნაწილიანი მხატვრული სცენარის შექმნის შესახებ. [პოემა „განდევილი“- ს მიხედვით.]

1936 წ. 13 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ვ. კარსანიძე; კ. პიპინაშვილი; ვისოცკი. 2 გვ.

29. ცნობა - კ. გოგოძის ნივთიერ ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

1936 წ. 28 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. ბეჭდით. 1 ც.

30. თბილისის კინო - ფაბრიკის დირექტორის - ი. კიკნაძისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის „ქაჯანა“ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

პირი: პიპინაშვილი.

1936 წ. 27 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ი. კიკნაძე. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 2 გვ.

31. კ. გოგოძის შრომის წიგნაკები.

1937 – 38 წწ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.

32. ამონაწერი სახკინმრეწვის დირექტორის დადგენილებიდან კ. გოგოძის პონორართან დაკავშირებით.

1938 წ. 4 მარტი. ნაბეჭდი. დამოწმებულია ი. მინასოვისადმი. ბეჭდით. 1 გვ.

33. მანდატი, გაცემული კინოსტუდია „ქართული ფილმი“- ს ხელმძღვანელობის მიერ. კ. გოგოძის აჭარაში (ბათუმი) მივლინებასთან დაკავშირებით.

1938 წ. 15 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის დირექტორი - გიგოშვილი; სასცენარო განყოფილების უფროსი - ქარსანიძე. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

34. კ. გოგოძის კინოსტუდიაში დროებითი დასაშვები ბარათი.

1938 წ. 20 სექტემბერი. ბლანკი. ხელს აწერენ: კინოსტუდიის დირექტორი - გიგოშვილი; განყოფილების უფროსი - პოგოსოვი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 ც.

35. კ. გოგოძის საჯარო ბიბლიოთეკის მოწმობა.

1938 წ. ხელით შევსებული. მელანი. 1 ც.

36. კინოფილმის „დაგვიანებული სასიძო“ ჯგუფის დირექტორის - ტ. კავკასიძისა და კ. გოგოძის შრომითი ხელშეკრულება. გოგოძის მიერ, სრული ტექსტის ქართული ვარიანტის, არა უგვიანეს 1939 წლის 29 იანვარს ჩაბარებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 17 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ტ. კავკასიძე; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 1 გვ.

37. თბილისის კინოსტუდიის ხელმძღვანელის ი. ციციშვილისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, სახალხო არტისტის მ. საფაროვა - აბაშიძის შემოქმედებაზე, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებისათვის სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1939 წ. 13 სექტემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 4 გვ.
38. კ. გოგოძის შემოქმედებითი განცხადება თბილისის, კინოსტუდიის დირექტორის ა. გიგოშვილისადმი, კინონარკვევის „მაკო საფაროვა - აბაშიძე“ გადაღებასთან დაკავშირებით, სცენარზე მუშაობის ნებართვის აღების შესახებ.
პირი: ვ. ბრუსოვი; ე. გაბაშვილი; ვ. მესხიშვილი; ვ. ვალიევი.
1939 წ. 20 სექტემბერი. ნაბეჭდი კ. გოგოძის ხელმოწერით 5 გვ.
39. კ. გოგოძის მოთხოვნა ჟურნალ „Искусство Кино“-ს რედაქტორისადმი. კუთვნილი ჰონორარის მიღებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 28 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
40. თბილისის კინოსტუდიის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ბლანკიანი ფურცელი კ. გოგოძისადმი, ჰონორარის გაცემასთან დაკავშირებით (1792 მანეთი და 30 კაპიკი).
1939 წ. 25 ნოემბერი. ბლანკი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 ც.
41. კ. გოგოძის განცხადება კინოსტუდიის დირექტორის ა. გიგოშვილისა და სასცენარო განყოფილების უფროსის გ. გიგოლაშვილისადმი, სასცენარო განყოფილებაში დროებით კონსულტანტად დანიშვნის მოთხოვნის შესახებ.
1940 წ. 15 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.
42. კ. გოგოძის განცხადება სახელმწიფო ბანკის კანტორის ხელმძღვანელობისადმი, მისაღები ჰონორარის, მოლოტოვის სახელობის რაიონის შემნახველ საღაროში გადმორიცხვის შესახებ.
1940 წ. 14 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
43. კ. გოგოძის განცხადება თბილისის კინომსახიობთა სკოლის დირექტორის ო. ჩიმაკაძისადმი, პედაგოგიური მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ.
1940. წ. 13 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 გვ.
44. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის მ. ცაგარელისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება. სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის „ქაჯანა“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1940 წ. 15 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 2 გვ.
45. კ. გოგოძის განცხადება გ. ცაგარეიშვილისადმი, ჰონორარის გაცემასთან დაკავშირებით.
1940 წ. 27 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
46. საქართველოს მწერალთა კავშირის ოფიციალური მიმართვა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირისადმი, კ. გოგოძის ქ. მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.
1940 წ. 27 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. დრამატურგთა განყოფილების ხელმძღვანელის შ. დადიანის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.
47. კ. გოგოძის განცხადება კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის გ. ცაგარელისადმი, კუთვნილი ჰონორარის მიღების განკარგულების გაცემასთან

დაკავშირებით.
ავტოგრაფი. 1 გვ.

1940 წ. 15 ივლისი.

48. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის ტ. ბელიაშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, სამამულო ომის თემაზე გენერალ პოლკოვნიკ ღვსელიძის შესახებ, სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1943 წ. 29 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 1 გვ.

49. კ. გოგოძისა და თბილისის სასცენარო განყოფილების უფროსის ტ. ბელიაშვილის ხელშეკრულება, კინონარკვევზე „Наши овцы“ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1944 წ. 24 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ნ. ბელიაშვილი; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 1 გვ.

50. საქართველოს სახინმრეწვის კინო - ფაბრიკის სცენარისტების კ. გოგოძისა და ტ. კარსანიძის სახელზე გაცემული მანდატი, დასავლეთ საქართველოში მივლინებასთან დაკავშირებით.(კინოსცენარისათვის მასალების შესასწავლად.)
1946 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ დირექტორის მოადგილე - ხაჩიძე; სასცენარო განყოფილების უფროსი - მამულაშვილი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

51. ქართული თეატრის დირექტორის აკაკი შანიძისა და დრამატურგ კარლო გოგოძის ხელშეკრულება, წარმოდგენილი ლიბრეტოს „მთის ბიჭები“ მიხედვით პიესის შექმნასთან დაკავშირებით.
1947 წ. 5 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ა. შანიძე; კ. გოგოძე. ბეჭდით. 1 გვ.

52. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის უფროსისადმი, გოგოუცა კუპრაშვილის შემოქმედებაზე მონოგრაფიის დაწერასთან დაკავშირებით.
1948 წ. 10 იანვარი. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

53. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების უფროსის ა. ბელიაშვილის მიმართვა კ. გოგოძისადმი, სცენარზე „ოცნების ზეიმი“ მუშაობის შეწყვეტის შესახებ.
წ. 28 ივლისი. ნაბეჭდი. ა. ბელიაშვილის ხელმოწერით. ქართულ ენაზე. 1 გვ. 1948

54. თბილისის კინოსტუდიის დირექტორის - კვესელავას მიერ მიღების აქტი კ. გოგოძის ლიტერატურულ სცენარზე „Звезды наших деревни“
1948 წ. 28 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ა. ბელიაშვილი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

55. კ. გოგოძის მოკლე ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცნობები.
1948 წ. 2 ნოემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. მელანი. 3 გვ. ერთვის ნაბეჭდი 2 გვ.

56. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის ა. თევზაძისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, ნაშრომთან „ნატო ვანნაძე“ დაკავშირებით.
1949 წ. 1 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერენ: ა. თევზაძე; კ. გოგოძე. მელანი. 1 გვ.

57. ქართული კინოხელოვნების ისტორიისათვის მასალების შესაკრებად გამოყოფილ ამხანაგების თათბირის ოქმი, კვესელავას ინფორმაცია ქართული კინოხელოვნების მასალების შესაკრებად გამოყოფილ ამხანაგებისადმი კონკრეტული დავალების მიცემის

შესახებ, აგრეთვე მასალების მიმღები კომისიის შედგენასთან დაკავშირებით.

პირი: მ. კვესელავა; კ. გოგოძე; თ. ციციშვილი; რ. ჩხეიძე; კ. მიქაბერიძე; ვ. კერესელიძე; კ. გრძელიშვილი; პ. წერეთელი; დ. ლომიძე; შ. ჩაგუნავა; ა. მამულაშვილი; ლ. მუჯირი.
1949 წ. 2 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მ. კვესელავა; კ. გოგოძე. 1 გვ.

58. ქართული კინოხელოვნების ისტორიისათვის მასალების შესაკრებად გამოყოფილ სარედაქციო კომისიის თათბირის ოქმი. კ. გოგოძის ინფორმაცია ქართული კინოხელოვნების მასალების შემკრებ ამხანაგთა მუშაობის შედეგების შესახებ, ასევე მ. კვესელავას ინფორმაცია ახალი დავალებების მიღებისა და შემდეგი მუშაობის შესახებ.
1949 წ. 29 ივლისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავჯდომარე - მ. კვესელავა; მდივანი - კ. გოგოძე. 2 გვ.
ერთვის ნაბეჭდი ორ ეგზემპლარად. 2 გვ.

59. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის ა. გელაშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, კინოფილმის „Райнис“ ქართულ ენაზე გახმოვანებასთან დაკავშირებით.

პირი: დარსაველიძე.

1949 წ. 15 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ა. ბელიაშვილი; კ. გოგოძე; რუსულ ენაზე. 1 გვ. ერთვის ასლი.

60. ქართული კინოხელოვნების ისტორიისათვის მასალების შესაკრებად გამოყოფილი სარედაქციო კომისიის თათბირის სხდომის ოქმი. 1) კ. გოგოძის ინფორმაცია მასალების შეკრების შესახებ. 2) მ. კვესელავას ინფორმაცია ქართული კინემატოგრაფიის ცნობარის შედგენისა და ქართული კინოხელოვნების მოკლესტორიული მიმოხილვის გამოშვების შესახებ. 3) სარედაქციო კომისიის სხდომების დღის გამოყოფის საკითხის შესახებ.
1949 წ. 9 სექტემბერი. ავტოგრაფი. ხელს აწერენ: თავჯდომარე - კვესელავა; მდივანი - კ. გოგოძე. 2 გვ. ერთვის ნაბეჭდი 2 გვ.

61. ქართული კინოხელოვნების ისტორიისათვის მასალების შესაკრებად გამოყოფილ სარედაქციო კომისიის თათბირის ოქმი. კ. გოგოძის ინფორმაცია მასალების შეკრების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე სარედაქციო კომისიის სხდომების დღის გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით.

პირი: მ. კვესელავა; კ. გოგოძე; ა. დარსაველიძე; კ. გრძელიშვილი; ა. პიპინაშვილი; თ. ციციშვილი; დ. წერეთელი; გ. ხარშილაძე; კ. მიქაბერიძე. ა. ხინთიბიძე; შ. ჩაგუნავა; პ. მორსკოი; ლ. ხოტივარი; რ. ჩხეიძე.

1949 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კვესელავა; კ. გოგოძე. 2 გვ.

62. თბილისის კინოსტუდიის გაერთიანებული სხდომის შემოქმედებითი საინიციატივო ჯგუფის დადგენილება, საორგანოზაციო ბიუროს დროებით შექმნასთან დაკავშირებით.

პირი: კ. გოგოძე; გრძელიშვილი: დ. კანდელაკი; ა. დადიანი; ხარშილაძე; კ. მიქაბერიძე.

1949 წ. 10 სექტემბერი. ნაბეჭდი კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

63. კ. გოგოძის განცხადება კინოსტუდიის დირექტორის მ. კვესელავასადმი, თარგმნასთან დაკავშირებით, ანგარიშის გასწორების შესახებ.

1949 წ. 29 სექტემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

64. კ. გოგოძის განცხადება კინოსტუდიის დირექტორის ლ. ესაკიასადმი, სასცენარო განყოფილებაში უფროს რედაქტორად დანიშვნის განკარგულების გაცემასთან დაკავშირებით.

1949 წ. 22 ოქტომბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

65. საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის ხელმძღვანელობის ბრძანება კინოსტუდიისადმი „ქართული ფილმი“, საბჭოთა კინემატოგრაფიის 30 წლის იუბილეს ჩასატარებლად მოსამზადებელ გეგმებთან დაკავშირებით.
კომისიის წევრები: კ. გოგოძე; ს. ზაქარიაძე; კ. პიპინაშვილი; ე. ხაჩიძე; ნ. ვაჩნაძე; ს. დოლიძე; პ. პერესტიანი. კ. მიქაბერიძე; დ. კანდელაკი; გ. უსეინაშვილი; ნ. ამირაგოვი.
1949 წ. 31 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

66. კ. გოგოძის განცხადება თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის დოკუმენტალურ ფილმების სექტორის უფროსის გ. უსეინაშვილისადმი, გაწეული შრომის ჰონორარის ანაზღაურების შესახებ.
1949 წ. 9 ნოემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

67. ლეო ესაკიასა და კონსტანტინე პიპინაშვილის მიმართვა კ. გოგოძისადმი, წიგნის „საქართველოს კინემატოგრაფიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა“ დროულად გამოცემასთან დაკავშირებით. აგრეთვე კოტე მარჯანიშვილზე მონოგრაფიის გამოცემის შესახებ.
1949 წ. 19 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ლ. ესაკია; კ. პიპინაშვილი. 1 გვ.

68. ვასილ ამაშუკელის პასუხები კარლო გოგოძის მიერ დასმულ კითხვაზე, ამაშუკელის შემოქმედებასთან დაკავშირებით.
1949 წ. 24 ნოემბერი. ნაბეჭდი. 4 გვ.

69. კ. გოგოძის შემოქმედებითი განაცხადი, კინოთეატრ რუსთაველის ერთ - ერთი ფოეს მხატვრულ გაფორმებასთან დაკავშირებით თემაზე - „ქართული საჭოთა კინემატოგრაფია 30 წლის მანძილზე“.
პირი: ლ. ბერია.
1950 წ. 10 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მხატვარი - ს. ვაწაძე; კინოდრამატურგი კ. გოგოძე. 2 გვ.

70. საქართველოს სამეცნიერო - პოპულარული და დოკუმენტურ - ქრონიკალური კინოსტუდიის დირექტორის - ვ. კუპრავას; თ. სვანისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის, პირობითი სახელწოდებით „ქართული ფოლადი“ ლიტერატურულ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1950 წ. 20 ივლისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; თ. სვანი რუსულ ენაზე. 5 გვ.

71. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის - ა. დოხნაძისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, ნაშრომის „ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“ გადაცემასთან დაკავშირებით.
1950 წ. 9 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ა. დოხნაძე; კ. გოგოძე. 1 გვ.

72. თბილისის კინოსტუდიის დირექტორის ლ. ესაკიასა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის პირობითი სახელწოდებით „Юность Маяковского“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1950 წ. 2 აგვისტო. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 3 გვ.

73. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების ხელმძღვანელის გ. ნუცუბიძის, კ. გოგოძისა და კ. პიპინაშვილის სასცენარო ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის პირობითი სახელწოდებით „Овашиводство“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1951 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ვ. პიპინაშვილი; გ. ნუცუბიძე. რუსულ ენაზე. 4 გვ.

74. კინოსტუდიის დირექტორის - ლ. ესაკიას ბრძანება თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიისადმი, ქართულ კინემატოგრაფიაში ხმარებული ტერმინების დადგენის შესახებ. ტერმინოლოგიის დამდგენი კომისიის შემადგენლობა: კ. გოგოძე; კვანჭილაშვილი; მიქაბერიძე; პიპინაშვილი; ; ნუცუბიძე; გახოკიძე; კანდელაკი; ვისოცკი; დოლენკო; ძაგანია; ათენელოვი; ღომიძე; მუჯირი; არუთინოვი; მინასიანი; დეკაბრელები; ისაკაძე; წერეთელი; მდივანი.

1951 წ. მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

75. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის - ტ. კვანჭილაშვილისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისთვის, პირობითი სახელწოდებით „ბაკურიანელი მოთხილამურეები“ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

1952 წ. 18 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. კანჭილაშვილი; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 3 გვ. ორი ეგზემპლარი.

76. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზდიუმის თავჯდომარის ა. დადიანისადმი, წიგნების „კოტე მარჯანიშვილი და კინოხელოვნება,“ „ქართველ მუშაკთა შემოქმედებითი პორტრეტები“ 1953 წლის საგამომცემლო გეგმაში შეტანასთან დაკავშირებით.

1952 წ. 25 ივნისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 2 გვ.

77. კ. გოგოძის მოხსენებითი ბრათი საქართველოს კინემატოგრაფიის მდგომარეობისა და მისი გამოსწორების შესახებ.

1952 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. ნაბეჭდი. 2 გვ.

78. კ. გოგოძის მოხსენებითი ბრათი საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრის ო. ეგაძისადმი, კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმების მომავალი წლის გეგმაში ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე კინონარკვევების შეტანასთან დაკავშირებით.

პირი: კ. მარჯანიშვილი; ი. ჯავახიშვილი; დ. კლდიაშვილი; ბ. ბარნოვი; მ. საფაროვა - აბაშჯიძე; შ. დადინი; ლ. ქიაჩელი; გ. ლეონიძე; ი. გრიშაშვილი; დ. არაყიშვილი; ნ. მუსხელიშვილი; გ. ტაბიძე.

1952 წ. 18 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 2 გვ.

79. კ. გოგოძის მიერ შედგენილი ცნობარი - „ქართული დრამატული თეატრის არტიტები კინოში“.

პირი: ვ. ანჯაფარიძე; მ. გელოვანი; ა. ვასაძე; ნ. გვარამე; ვ. გუნიას; შ. დადიანი; გ. დავითაშვილი; ს. ზაქარიძე; ა. თაყაიშვილი; ა. თოიძე; ა. იმედაშვილი; კ. მარჯანიშვილი; ლ. მესხიშვილი; ა. ჟორჟოლიანი; შ. ღამბაშიძე; ე. ჩერქეზიშვილი; ნ. ჩხეიძე; უ. ჩხეიძე; ა. წუწუნავა; ც. წუწუნავა; თ. ჭავჭავაძე.

1952 წ. 2 სექტემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. ავტორისეული ჩასწორებებით. 6 გვ. ორი ეგზემპლარი.

80. კ. გოგოძის დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და სსრ კავშირის კინოხელოვნების ოსტორიის პროგრამა (1949 – 50 წლები).

1952 წ. ნაბეჭდი. ა. ფალავას რეზოლუციით და ხელმოწერით. 13 გვ.

81. კ. გოგოძის მიერ ჩაწერილი დოკუმენტური ფილმების სია, სადაც აღბეჭდილია ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

პირი: ი. აბაშიძე; ლ. ასათიანი; ტ. აბაშიძე; ნ. ბარათაშვილი; ა. ბალანჩივაძე; ქ. ბახტაძე; დ. დ. ბენაშვილი; ს. ბედუკაძე; ხ. ბერულავა; ბაბაჯანიანი; ვ. ბარნოვი; ა. ვასაძე; ი.

გრიშაშვილი; კ. გოგოძე; ვ. ანჯაფარიძე; ა. გაწერელია; ა. ღლონტი; ლ. გუდიაშვილი; ს. ჯანაშია; შ. დადიანი; უ. ჯაფარიძე; ქ. ჯაფარიძე; ო. დიმიტრიადი; ბ. ჟღენტე; ს. ჟორჯოლიანი; ი. იაშვილი; კ. კეკელიძე; ს. ქობულაძე; კ. კალაძე; ს. ყაუხჩიშვილი; ნ. კანდელაკი; გ. ლეონიძე; კ. ლორთქიფანიძე; ქ. მაღალაშვილი; მარიჯანი; ა. ბაღანჩივაძე; ლ. მესხიშვილი; კ. მარჯანიშვილი; მ. გორკი; ხ. პლიევი; გ. ტაბიძე; ა. თევზაძე; ო. თაქთაქიშვილი; ს. თავაძე; ა. ხორავა; ა. წერეთელი; ს. ჩიქოვანი; ე. ჩერქეზიშვილი; გ. ჩუბინიშვილი; ს. ჭილაია; ნ. ჩხეიძე; ი. ჭავჭავაძე; ა. შანიძე; ა. შერვაშიძე.

1952 წ. დავთარი. ხელნაწერი. მელანი. 27 გვ.

82. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის კ. გოგოძის პირადი ბარათი.

1953 წ. 15 თებერვალი. სტამბური. ნაბეჭდით შევსებული. კ. გოგოძის ხელმოწერით. 4 გვ.

83. კ. გოგოძის მოხსენებითი ბარათი. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრის ო. ეგაძისადმი, კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“ აღდგენა - რესტავრაციისათვის ხუთკაციანი კომისიის გამოყოფის შესახებ.

1953 წ. 6 აპრილი. ნაბეჭდი. 1 გვ.

84. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის შ. არხაიძისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისთვის „Сталеварь“ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

„ОТЛИЧНЫЙ „Сталеварь“ სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

1953 წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; შ. არხაიძე. რუსულ ენაზე. 3 გვ.

85. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორის ვ. კიკნაძის შეტყობინება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის გ. ლეონიძისადმი, კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“ აღდგენა რესტავრაციის გამო კ. გოგოძისათვის საჭირო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

1953 წ. 7 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

86. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორისა და ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის მ. ლეონიძის აქტი, კ. გოგოძისადმი კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“ სარესტავრაციოდ გადაცემის შესახებ.

1953 წ. 9 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

87. კ. გოგოძის შეტყობინება კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორის ვ. კიკნაძისადმი, კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“ აღდგენა - რესტავრაციის შესახებ.

1953 წ. 2 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

88. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის თ. მღებრიშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, კინოსცენართან „დაგვიანებული სასიძო“ დაკავშირებით.

1953 წ. 9 ივნისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ვ. კარსანიძე. ბეჭდით. მელანი. 1 გვ.

89. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის თ. მღებრიშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება. მონოგრაფიასთან „კ. მარჯანიშვილი“ დაკავშირებით.

1953 წ. 9 ივნისი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერენ: თ. მღებრიშვილი; კ. გოგოძე. 1 გვ.

90. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის თ. მღებრიშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება. ნაშრომის „ვასილ ამაშუკელი“ (მონოგრაფია) გადაცემასთან დაკავშირებით.
1954 წ. 15 თებერვალი. ბლანკი. ასლი. ხელით შევსებული. ბეჭდით. მელანი. 1 გვ.

91. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროსის შ. აფხაიძის კ. გოგოძისა და ა. კაკილაშვილის ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისთვის პირობითი სახელწოდებით „В алазнской долине“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.
1954 წ. 5 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ა. კოკელაშვილი; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 3 გვ.

92. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ა. გუნიასადმი, გამომცემლობის „ხელოვნება“ მიერ წიგნის „ნარკვევები კინემატოგრაფიის ისტორიიდან“ ხელახალ გამომცემასთან დაკავშირებით.
პირი: კ. მესხი; ვ. გუნია კ. მარჯანიშვილი; ა. წუწუნავა; ი. იმედაშვილი; ს. ესაძე.
1954 წ. 12 მარტი. კ. გოგოძის ხელმოწერით. ნაბეჭდი. 2 გვ.

93. კ. გოგოძის მიმართვა გამომცემლობის „ხელოვნება“ დირექტორის ა. ადამიასადმი, 1955 წელს მისი წიგნის „ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“ საგამომცემლო გეგმაში შეტანასთან დაკავშირებით. 1954 წ. 8 მაისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

94. კომისიის, კულტურის სამინისტროს რწმუნებულის გ. მიქაძის ; საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მთავრი შემნახველის გ. ბერძენიშვილის; კინოტექნიკოსის რ. ბოგდანისა და სასცენარო განყოფილების უფროსი რედაქტორის კ. გოგოძის აქტი კინოფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა - ლეჩხუმში“ აღდგენა - რესტავრაციის შესახებ.
1954 წ. 17 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

95. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ მულტწარმოების 1965 – 1966 წლის საორიენტაციო თემატური გეგმა.
1954 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერენ; სასცენარო - სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი - ა. ბაქრაძე; მულტწარმოების უფროსი - გ. დარსაველიძე; უფროსი რედაქტორი - კ. გოგოძე. 18 გვ.

96. კ. გოგოძის შემოქმედებითი განაცხადი თბილისის კინოსტუდიის დირექტორის გ. გიგოლაშვილისა და სასცენარო განყოფილების უფროსის რ. თაბუკაშვილისადმი, კინოსცენარის „ფატიმა“ შესახებ.
1955 წ. 25 თებერვალი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 6 გვ.

97. კ. გოგოძის განცხადება საქართველოს პირველი მაისის რაიკომის მდივნის ვ. გრიგალაშვილისადმი, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის აღრიცხვაზე აყვანასთან დაკავშირებით.
1955 წ. 8 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 3 გვ.

98. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობის „ხელოვნება“ გამგის ა. ადამიასა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, ნაშრომთან - „ივანე პერესტიანი“ დაკავშირებით.
1955 წ. 28 ოქტომბერი. ბლანკი. ხელს აწერენ: ა. ადამია; კ. გოგოძე. ბეჭდით. 1 გვ.

99. სათეატრო მუზეუმის დირექტორის მოადგილის ს. გერსამიას ოფიციალური მიმართვა კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების უფროსის კ. გოგოძისადმი, კინოსტუდიის მიერ 1955 წელს ჩატარებულ მუშაობაზე მუზეუმისთვის ცნობების მიწოდების შესახებ.

1956 წ. 21 ივნისი. ს. გერსამიას ხელმოწერით. ნაბეჭდი. 1 გვ.

100 კ. გოგოძის მიმართვა კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორ გ. გოგილაშვილისადმი, საქართველოს კულტურის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის შესახებ მოსკოვში საბუთების გაგზავნასთან დაკავშირებით, პრემიის მიმნიჭებელ კომისიაზე განსახილველად.

1956 წ. 29 ნოემბერი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 2 გვ.

101 კ. გოგოძის მიმართვა ლენინის პრემიის კომიტეტის თავჯდომარისადმი, ითხოვს შუამდგომლობას საქართველოს კულტურის სამინისტროს წინაშე, მოსკოვში საბუთების გადაგზავნასთან დაკავშირებით. პრემიის მიმნიჭებელ კომისიაზე განსახილველად.

1957 წ. 18 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

102. კ. გოგოძის მიმართვა ლენინის პრემიის კომიტეტის თავჯდომარისადმი, მისი როგორც კინოფილმის „მაგდანას ღურჯა“ სცენარის ავტორის ლენინის პრემიის ლაურეატის წოდების სიაში შეყვანასთან დაკავშირებით.

1957 წ. 18 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი რუსულ ენაზე. 1 გვ.

103. თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის მიმართვა ლენინის კომიტეტის თავჯდომარისადმი, კ. გოგოძის როგორც კინოფილმის „მაგდანას ღურჯა“ სცენარის ავტორის, ლენინის პრემიის ლაურეატის წოდების სიაში შეყვანასთან დაკავშირებით.

1957 წ. 18 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

104. საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის „Заря востока“ დირექტორის მ. ზღატკინისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, ნაშრომის „საქართველოს კინემატოგრაფიის განვითარების გზა“ გამომცემასა და თარგმნასთან დაკავშირებით.

1957 წ. 14 თებერვალი. ბლანკი. ხელს აწერენ: ვ. ზაღტკინი; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. ბეჭედ დასმული. 3 გვ.

105. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი, კ. გოგოძისა და კ. პიპინაშვილის ლიტერატურული სცენარის „ქარიშხლით შობილი“ წაკითხვა - განხილვასთან დაკავშირებით.

პირი: ა. ბელიაშვილი; ს. დოლიძე; რ. თაბუკაშვილი; დ. რონდელი; გ. გოგოლაშვილი; კ. პიპინაშვილი; კ. გოგოძე.

1957 წ. 9 მარტი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 6 გვ.

106. თბილისის კულტურის სამინისტროს მომარაგების სამმართველოს ხელმძღვანელის - ა. პიკუსისა და კ. გოგოძის საგამომცემლო ხელშეკრულება, ბუკლეტისათვის „საქართველოს მსახიობები“ ტექსტის შედგენასთან დაკავშირებით.

1957. წ. 8 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ა. პიკუსი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

107. ჟურნალ „Филмови новини“ მთავარი რედაქტორის ნ. სპიროვის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, ოქტომბრის რევოლუციის 40 წლის იუბილესთვის ქართული კინო ფილმებისა და მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით.

1957 წ. 29 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ნ. სპიროვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

108. კ. გოგოძი მიმართვა ზ. საფაროვისადმი, კინომუზეუმის გამდიდრებისთვის ბაკინის საუკეთესო მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმების გადმოცემასთან დაკავშირებით. 1957 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

109. როტისლავ იურენევისა და ლუდმილა პოგოჟევის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, მოსკოვში საერთაშორისო კინოთეატრისა და კრიტიკისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირის შესახებ.

1957 წ. 27 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ლ. პოგოჟოვა; რ. იურენოვი. რუსულ ენაზე 1 გვ.

110. ს. ჩერნიაესკის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, ტაჯიკეთში მხატვრული ფილმების საუკეთესო სცენარის კონკურსზე კ. გოგოძის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

1958 წ. 10 ოქტომბერი. ბლანკი. ს. ჩერნოვსკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

111. კ. გოგოძის მიმართვა ი. კალაშნიკოვისადმი, ქართული კინემატოგრაფიის თეორიისა და კრიტიკის მეცნიერული ნაშრომების შესახებ.

1959 წ. 6 ივნისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე 4 გვ.

112. საბჭოთა კავშირის, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიმართვა ს. დოლიძისადმი კინოხელოვნებაში მეცნიერულ კვლევებთან დაკავშირებით. პირი: ნ. იურენოვი; ნ. ლებედევი; დ. პისარეესკი; მ. სატაევი.

1959 წ. 18 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; ი. კალაშნიკოვი; მ. სატაევა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

113. საბჭოთა კავშირის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, საქართველოში კინოთეორიისა და კრიტიკის სექციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.

1959 წ. 29 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

114. კ. გოგოძის მიმართვა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის კინოხელოვნების დარგში - ი. კალაშნიკოვისადმი, პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1959 წ. 6 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

115. კ. გოგოძის მიმართვა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის კინოხელოვნების დარგში - ი. კალაშნიკოვისადმი, ქართული კინოხელოვნების დარგში 1948 წლიდან გამოშვებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ.

1959 წ. 6 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 4 გვ.

116. ი. კალაშნიკოვისა და მ. სატაევის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძიადმი, მოსკოვის კოორდინაციის საბჭოს (კინოხელოვნების დარგში) კომისიისათვის, ქართულ კინოხელოვნებაში ჩატარებულ სამეცნიერო სამუშაოების ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით.

1959 წ. 8 ივლისი. ბლანკი. ხელს აწერენ: ი. კალაშნიკოვი; მ. სატაევა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

117. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზდიუმის თავმჯდომარის ა. ხორავასადმი, 1960 წლის საგამომცემლო გეგმაში მისი წიგნის „ქართული კინო“ შეტანასთან დაკავშირებით.

1959 წ. 21 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

118. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, საქართველოს კინომუზეუმის შესახებ წერილის ასლის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1959 წ. 29 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

119. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების უფროსის მ. კაკაბაძისა და გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, მხატვრული კინოფილმისთვის პირობითი სახელწოდებით „ღირსეული სასჯელი“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

1959 წ. 30 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მ. კაკაბაძე; კ. გოგოძე. 4 გვ.

120. კ. გოგოძის შეტყობინება კინემატოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ი. კალაშნიკოვისადმი, პირველი საერთაშორისო სხდომის შემდეგ ქართულ კინემატოგრაფიაში ჩატარებული სამეცნიერო შრომების შესახებ.

პირი: ნ. ვაჩნაძე; ს. ბონდარჩუკი; კ. ყარაღაშვილი; შ. მანაგაძე; შ. ბერიშვილი; ს. დოლიძე; შ. საღუქვაძე; ლ. ხოტივარი; ნ. ნიკოლაძე; ა. ბაქრაძე; შ. არჩვაძე; მ. ჯალიაშვილი; ტ. ჩხეიძე; დ. წეროძე; ლ. ესაძე; კ. პიპინაშვილი; გ. აბულაძე; ლ. აბაშიძე; ლ. კობერძე; ა. ბაქრაძე; გ. ასათიანი.

1959 წ. 15 ოქტომბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 6 გვ.

121. კ. გოგოძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმი“-ს დირექტორის ა. ძიძიგურისადმი, კინოფილმის „ქრისტიანე“ აღდგენაზე დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

1959 წ. 24 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

122. კ. გოგოძის შეტყობინება ი. კალაშნიკოვისადმი, ქართული კინოხელოვნების დარგში, პირველი საერთაშორისო სხდომის შემდეგ ჩატარებული სამეცნიერო შრომების შესახებ.

პირი: მ. კაკაბაძე; გ. გოგოჩაშვილი; ბ. ჟდენტი; ო. სეფიაშვილი; ა. ბელიაშვილი.

1959 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 6 გვ.

123. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, პირველ პლენუმზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების გაცნობის შესახებ თხოვნის აცნობის რა სახის სამეცნიერო შრომებს ატარებს კინოხელოვნების დარგში, მეორე საინფორმაციო კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით.

1959 წ. 30 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კორდინაციის საბჭოს თავმჯდომარე ი. კალაშნიკოვი; მდივანი მ. სატავეა. რუსულ ენაზე. 1 გვ. ერთვის ამონაბეჭდი პროსპექტიდან 2 გვ.

124. კინომუზეუმის საორგანიზაციო კომიტეტის 1960 წლის ოქმი.

პირი: ს. დოლიძე; კ. გოგოძე; რ. ჩხეიძე; ლ. ვისოცკი; ს. ვაწაძე; ლ. ხუბულაშვილი.

1960 წ. 6 იანვარი. კ. გოგოძის ხელმოწერით. ნაბეჭდი. 4 გვ.

125. კ. გოგოძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმი“-ს დირექტორის ა. ძიძიგურისადმი, კინოფილმის „ქრისტიანე“ აღდგენასთან დაკავშირებით.

1960 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

126. კ. გოგოძის მიმართვა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის კინოხელოვნების დარგში ი. კალაშნიკოვისადმი, მისი წიგნის „ქართული კინოხელოვნების ისტორიის შესახებ“ გამოცემასთან დაკავშირებით. აგრეთვე კინომუზეუმისთვის შვიდკაციანი კომისიის შექმნის შესახებ.

პირი: ლ. ესაკია; რ. ჩხეიძე; ფ. ვისოცკი; ს. ვაწაძე; ლ. ხუბელაშვილი; კ. გოგოძე; ს. დოლიძე.
1960 წ. 2 თებერვალი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 გვ. ორი ეგზემპლარი.

127. კ. გოგოძის მიმართვა ი. კალაშნიკოვისადმი, ქართულ კინოხელოვნებაში მეცნიერულ კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებით.
1960 წ. 26 თებერვალი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით რუსულ ენაზე. 1 გვ.

128. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“-ს დირექტორის მიხეილ მაისურაძისა და კარლო გოგოძის საგამომცემლო ხელშეკრულება, ნაშრომის „კინოხელოვნების ისტორია“ გამომცემასთან დაკავშირებით.
1960 წ. 8 აპრილი. ბლანკი. ხელს აწერენ: მ. მაისურაძე; კ. გოგოძე. ბეჭდით. 2 გვ.

129. ი. კალაშნიკოვის მიმართვა „ქართული ფილმი“-ს დირექტორის ვ. ძიძიგურისადმი, კ. გოგოძის მიერ სსრ ხალხთა კინოისტორიის ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით.
1960 წ. 30 მაისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

130. კ. გოგოძის მიმართვა გ. მიქაძისადმი, მისეული ფსევდონიმების ჩამონათვალის შესახებ.
1960 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით 1 გვ.

131. კ. გოგოძის მოკლე ავტობიოგრაფია.
1960 წ. 25 ივლისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 გვ.

132. კინოდრამატურგ ა. კაპლერის მიმართვა კ. გოგოძისადმი, დაუდგმელ და გამოუქვეყნებელ კინოსცენარებთან დაკავშირებით.
1960 წ. 30 ნოემბერი. ნაბეჭდი. კ. კაპლერის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

133. ი. კალაშნიკოვის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, თეატრის კინოსა და მუსიკის ეროვნულ საკითხებზე მომუშავე ხელოვნებამცოდნეების მიღებასა და მათ ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.
1961 წ. 7 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. .

134. კ. გოგოძის მიმართვა ი. კალაშნიკოვისადმი, პროსპექტის „ქართული კინემატოგრაფი“ გაგზავნასთან დაკავშირებით.
1961 წ. 20 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

135. კ. გოგოძის მიერ შექმნილი ქართული კინოხელოვნების ისტორიის პროსპექტი. (1897 – 1960 წწ.)

პირი: ვ. ბარსკი; ლ. დოლობერიძე; გ. ასათიანი. ი. კანდელაკი; ი. იმედაშვილი; ს. ესაძე; ვ. გუნიას; ა. ხინთიბიძე; ვ. ბახტაძე; ტ. ჭიჭინაძე; შ. ბერიშვილი; გ. გოგიტიძე; ა. წუწუნავა; ა. აბულიშვილი. ვ. არაბიძე; ც. წუწუნავა შ. დადიანი; ე. ჩერქეზიშვილი; ა. იმედაშვილი; ე. ლანსერე; ი. პერესტიანი; კ. მარჯანიშვილი; მ. ჭიაურელი; ნ. შენგელაია; ს. დოლიძე; ლ. ესაძე; დ. რონდელი; მ. გელოვანი; მ. კალატოზიშვილი; ს. ფალავანდიშვილი. მ. მდივანი; პ. მორსკოი; გ. ცაგარელი; შ. ალხაზიშვილი; შ. ხუსკივაძე; ს. კლდიაშვილი; ა. ბელიაშვილი; ლ. ესაკია; გ. ცაგარელი; ბ. ჟღენტ; ს. ჩიქოვანი; კ. პიპინაშვილი; შ. ხომერიკი; ვ. ვალიშვილი; შ. ნაგუნავა; ა. მამულაშვილი; ვ. ალავეძე; ს. ამაღლობელი; კ. ბუაჩიძე; კ. კიკაბიძე; ვ. მიტროფანოვი; კ. სანიშვილი; ვ. ტაბლიაშვილი; შ. გედევანიშვილი; ი. კანდელაკი.
1961 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 18 გვ.

136. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, გოგოძის მოსკოვში მივლინების შესახებ ხელოვნებათმცოდნეობის საერთაშორისო სხდომაზე დასასწრებად.
1961 წ. 8 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ი. კალაშნიკოვი; კ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

137. ხელოვნების მუშაკთა სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის შ. ბასილაშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, ლექციის „ქართული კინო 40 წლის მანძილსზე“ ჩატარებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 19 მაისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: შ. ბასილაშვილი; კ. გოგოძე. 1 გვ.

138. კ. გოგოძის მიმართვა ი. კალაშნიკოვისადმი, ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1961 წ. 20 ოქტომბერი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

139. კ. გოგოძისა და კ. პიპინაშვილის ხელშეკრულების ფურცელი, სცენარზე „ფალავანი“ პიპინაშვილის (როგორც რეჟისორის) თანაავტორად აღიარების შესახებ.
1961 წ. 5 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კ. გოგოძე; კ. პიპინაშვილი; ქ. დევიძე. 2 გვ.

140. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების უფროსის მ. მგალობლიშვილისა და კ. გოგოძის ხელშეკრულება, მხატვრულ ფილმებთან დაკავშირებით.
1961 წ. 12 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 4 გვ.

141. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ 24 – 27 მაისის ჩატარებული სხდომის მასალების გაგზავნასთან დაკავშირებით თეატრის, მუსიკისა და კინოს შესახებ.
1962 წ. 16 იანვარი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

142. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, ზორკოის სტატიის „22 – 24 წლების მხატვრული ფილმები“ ბაქოს ხელოვნებისა და არქიტექტურის ინსტიტუტში, დირექტორ – მ. უსეინოვას სახელზე გაგზავნასთან დაკავშირებით.
1962 წ. 30 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ი. კალაშნიკოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

143. კ. გოგოძის მიერ კინოს შესახებ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა სახის შედგენილი მასალა. მასალას ერთვის პირველ ტომში შესაყვან ავტორთა სია.
1962 წ. 30 ნოემბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 21 გვ.

144. კ. გოგოძის სამუშაო გეგმა კინემატოგრაფიასთან დაკავშირებით.
1962 წ. ავტოგრაფი. 1 გვ.

145. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე დვალისკისადმი, ნაშრომში შეტანილ შეცდომების გამოკვლევისა და დაზუსტების გამო, სამსახურებრივი მოვალეობიდან დროებით განთავისუფლებასთან დაკავშირებით.
1963 წ. 23 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 1 გვ.

146. ი. კალაშნიკოვის მიმართვა კ. გოგოძისადმი, გოგოძის მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.
1963 წ. 17 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

147. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილის ა. დვალიშვილის ოფიციალური მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ო. ქინკლაძისა და კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორის თ. გორდელაძისადმი, კ. გოგოძის მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით. 1963 წ. 14

ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

148. კინოსტუდია „ქართული ფილმი“-ს შემოქმედებითი საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმი, კინოლიბრეტოსა და სცენარის „საფრთხობელები“, „მამაცი ვაჟა“ განხილვასთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდნენ: კ. გოგოძე; კ. სულააკაური; ო. ანდრონიკაშვილი; ნ. ოქროპირიძე; მ. დავითაშვილი; მ. სტარიკოვსკი; ნ. ბენაშვილი; ვ. ბახტაძე; გ. დარსაველიძე; გ. ლავრელაშვილი.

1964 წ. 3 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: გ. დარსაველიძე; კ. გოგოძე. 7 გვ.

149. პლესანოვის სახელობის კულტურის სახლისა და ორთქმავალ ვაგონ შემკეთებელი ქარხნის კოლექტივის ოფიციალური მიმართვა კ. გოგოძისადმი, კინოფილმის „თეთრი ქარავანი“ შემოქმედ კოლექტივთან შეხვედრის შესახებ. 1964 წ. 5 თებერვალი. ხელნაწერი. ჩ. ქიტიშვილის ხელმოწერით. 1 გვ.

150. კ. გოგოძის მიმართვა კინოსტუდია „ქართული ფილმი“-ს დირექტორის მოადგილის ვ. ქიქოძისადმი, კინომუზეუმში საჭირო ღონიზიებების ჩატარებასთან დაკავშირებით. 1964 წ. 2 ივნისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 3 გვ.

151. ბუინასკის საქალაქო კომიტეტის ბიურო და საქალაქო აღმასკომის მუშათა დეპუტატების დადგენილება, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ კინემატოგრაფისტების: კ. გოგოძის; ა. ლორთქიფანიძისა და ზ. გუდავადის ბუინასკის საპატიო მოქალაქის მინიჭების შესახებ.

1964 წ. 25 დეკემბერი. სტამბური. ხელს აწერენ: მ. გაჯიევი; ხ. ხანოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

152. კ. გოგოძის მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის ო. ქინკლაძისადმი, დაღესტანში ქართული ფილმების მეორე ფესტივალის შესახებ. აგრეთვე დოკუმენტური ფილმის დაღესტნის ხალხთა ცხოვრებაზე გადაღებასთან დაკავშირებით.

პირი: ი. გუმახანოვი; ს. დოლიძე; კ. გრძელიშვილი; შ. ხომერიკი.

1965 წ. 7 იანვარი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 8 გვ.

153. კ. გოგოძის განცხადება საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის პირველი მდივნის ს. დოლიძისადმი, დაღესტანის ახალი საწარმოო ქალაქ კასპიში შექმნილ მოყვარულთა სტუდიისათვის სპეციალისტებით დახმარებასთან დაკავშირებით. აგრეთვე ქართული მულტფილმების ფესტივალის მოწყობის შესახებ.

1965 წ. 28 მაისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. 2 გვ.

154. საქართველოს, სამეცნიერო – პოპულარული და დოკუმენტურ – ქრონიკალური კინოსტუდიის დირექტორის ი. მესხიშვილისა და კ. გოგოძის სასცენარო ხელშეკრულება, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური კინოფილმისთვის პირობითი სახელწოდებით „ღუშეთი – გუნიბი“ ლიტერატურული სცენარის შექმნასთან დაკავშირებით.

1965 წ. 25 ივნისი. ნაბეჭდი. კ. გოგოძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. ბეჭდით. 5 გვ.

